

**2020 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება შპს ალეგრო**

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
4. ძირითადი საშუალებები
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
7. ბიზნეს სესხები და ოვერდრაფტები
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
9. საკუთარი კაპიტალი
10. მოგების გადასახადი
11. საანგარიშები პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

შპს ალეგრო 204865271

ფინანსური მდგომარეობა	2018	2019	2020
აქტივი	4,460,341	4,386,089	4,185,828
ფულადი სახსრები	11,548	52,618	394
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
დებიტორები-მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	131,392	43,986	37,819
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5,677		1,919
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,258	4,797	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7,193	17,340	27,734
სულ მოკლევადიანი აქტივები	164,068	118,741	67,866
ძირითადი საშუალებები	4,280,532	4,251,608	4,102,221
მიწა	2,395,878	2,395,878	2,395,878
შენობა-ნაგებობები	1,299,706	1,267,215	1,235,533
დაუმთავრებელი მშენებლობა			
ოფისის აღჭურვილობა	58,862	94,012	75,209
ავჯი და ინვენტარი	190,646	226,150	180,920
მანქანა დანადგარები	48,299	38,640	30,911
სატრანსპორტო საშუალებები	287,142	229,713	183,770
არამატერიალური აქტივები	15,740	15,740	15,740
გრძელვადიანი აქტივები	4,296,272	4,267,348	4,117,961
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,460,341	4,386,089	4,185,828
კრედიტორული ვალდებულებები	19,179	9,178	305
მიღებული ავანსები	4,393		
მიმდინარე ვალდებულებები	23,572	9,178	305
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	23,572	9,178	305
კაპიტალი	4,436,769	4,376,911	4,185,523
საწესდებო კაპიტალი	866,564	363,932	249,429
წინა პერიოდის აკუმულირებული მოგება (ზარალი)	280,457	1,152,447	1,719,059
მიმდინარე პერიოდის გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	995,829	566,612	(76,885)
რეზერვები და დაფინანსება	2,293,920	2,293,920	2,293,920

ბუღალტერი:
კონსტანტინე ალავერდაშვილი



შპს ალგრო 204865271

საქმიანობის შედეგები	2018	2019	2020

წმინდა შემოსავლები	1,595,698	1,281,857	151,104
შემოსავალი რეალიზაციიდან/მომსახურებიდან	1,595,698	1,281,857	151,104

სულ ხარჯები	534,428	560,817	85,676
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,134	10,630	5,262
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	527,294	550,187	80,414
ხელფასი	107,144	123,082	16,125
იჯარა	34		
საპროცენტო ხარჯები	8,822		
სარეკლამო ხარჯები	23,153	19,864	3,200
საკანცელარიო ხარჯი	1,220	917	102
კომუნალური გადასახადები	75,315	82,215	27,248
კომუნიკაციის ხარჯი	19,366	18,970	3,503
რემონტის ხარჯი	28,162	80,059	1,433
დაზღვევის ხარჯი	16,669	9,327	222
საბანკო მომსახურების ხარჯი	12,150	8,737	1,697
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	5,469		
კვების ხარჯი	97,109	96,589	11,067
საშუამავლო ხარჯები	82,747	60,289	9,990
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	49,934	50,138	5,827
მოლიანი მოგება	1,588,564	1,271,227	145,842
საოპერაციო მოგება	1,061,270	721,040	65,428

არასაოპერაციო მოგება-ზარალი	100,013	-	7,071
არასაოპერაციო შემოსავლები	176,580	-	7,210
დადებითი საკურსო სხვაობები	176,580		
სხვა - განსაკუთრებული შემოსავლები			7,210
არასაოპერაციო ხარჯები	76,567	-	139
უარყოფითი საკურსო სხვაობები	76,567		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			139

მოგება გადასახდებამდე და ცვეთის დარიცხვამდე	1,161,283	721,040	72,499
ცვეთა/ამორტიზაცია	165,455	154,428	149,383
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება	995,829	566,612	(76,885)

ბუღალტერი
კონსტანტინე ალგერდაშვილი



შპს ალეგრო 204865271

	2018	2019	2020
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი			
ფული პერიოდის დასაწყისში	2,754,101	11,548	52,618
საოპერაციო ფულის მოძრაობა			
საოპერაციო ფულის შემოსავალი	1,742,065	1,481,543	171,412
საოპერაციო ფულადი გასავალი	1,146,446	833,467	108,996
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	595,619	648,076	62,416
სულ ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები	3,349,720	659,624	115,034
საფინანსო-საინვესტიციო ფულის მოძრაობა			
საფინანსო-საინვესტიციო შემოსავალი	431,700	-	-
საფინანსო-საინვესტიციო გასავალი	3,769,872	607,007	114,640
ს.ს."ბაზისბანკი"-ს ხესხის დაფარვა	-	-	-
სხვა საკრედიტო ინს. მიღებული ხესხებს	2,534,362	-	-
კაპიტალის შემცირება	1,159,006	507,007	114,503
გადახდილი დივიდენდი		100,000	
კურსთაშორის სხვაობით/გადაფასებით მიღებული ზარალი	76,503		137
ფულადი ნაკადები საფინანსო-საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,338,171)	(607,007)	(114,640)
ფულის შემცირება/ზრდა წლის განმავლობაში	(2,742,552)	41,069	(52,224)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	11,548	52,618	394

მუდარატივი
კონსტანტინე ალექსანდრეშვილი



შპს „ალეგრო“ ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალეგრო“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს იურიდიულ პირს რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 1996 წლის 9 სექტემბერს (სნ 204865271) , 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ციციხო ფუტყარაძე პნ 01001000999. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმროს მომსახურების გაწევა, ასევე შემოსავლის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობის ნაწილზე საიჯარო მომსახურების გაწევა.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“- ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს , რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები,

რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის ერთეულის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს, რომელთა ვადაც 5 წელს ან უფრო ნაკლებს შეადგენს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენისა და ტრანსპორტირების ხარჯებს.

7. ბიზნეს სესხები და ოვერდრაფტები

კომპანიას არ გააჩნია ფინანსური ვალდებულებები (სესხი) საკრედიტო დაწესებულებების და ფიზიკური პირების მიმართ.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი

მომსახურება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

9. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

10. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია

2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

11. საანგარიშები პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა

ბუღალტერი
კონსტანტინე ალავერდაშვილი

